ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა

ო ქ მ ი #5

20 ოქტომბერი 2021 წელი

ქ.ბაღდათი 12.00 სთ

სხდომას თავმჯდომარეობდა: ირინა ტყეშელაშვილი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომას ესწრებოდნენ

კომისიის წევრები:
მაია კბილაშვილი
ფრიდონ მაჩიტაძე
სიმონ ჭოლოკავა

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი: გიორგი ნერგაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი: მარეხი მშვენიერაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის წარმომადგენელი: კახა გოგსაძე
ბაღდათის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი: ნინო მშვილდაძე

ა.(ა).ი.პ ბაღდათის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრის დირექტორი ნატო მაჩიტაძე

სხდომა უფლებამოსილია მეუდგეს მუშაობას.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯამრთელობის დაცვის სამსახურის ინფორმაცია: „ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2020-2024 წლების სოციალური პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ", ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის განკარგულების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე.

   მომხს. კახა გოგსაძე

2. არასამეწარმო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ბაღდათის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"-ს ხელმძღვანელის ინფორმაცია კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და ვაქცინაციის მიზნით მოსამზადებელი სამუშაოებისა და გატარებული ღონისძიებების შესახებ

   მომხს: ნატო მაჩიტაძე

სხდომაზე დამსწრე კომისიის ყველა წევრი თანახმაა განიხილონ დღის წესრიგის მიხედვით წარმოდგენილი საკითხი

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი1. კომისიის თავმჯდომარემ ირინა ტყეშელაშვილმა წარმოადგინა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯამრთელობის დაცვის სამსასურის ინფორმაცია: „ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2020-2024 წლების სოციალური პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ", ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის განკარგულების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე. აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის წარმომადგენელი: კახა გოგსაძემ

კომისიის თავმჯდომარე: ირინა ტყეშელაშვილმა განაცხადა, რომ კარგი იქნება სოციალური მუშაკის დამატება არის ბევრი პრობლემატური საკითხები მოსაგვარებელი და განსახორციელებელი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი: მარეხი მშვენიერაძემ განაცხადა, რომ ვეთანხმები ქალბატონ

ირინა ტყეშელაშვლს მართლაც არის საჭიროება სოციალური მუშაკის დასამატებლათ სხვადასხვა სახის პრობლემური საკითხების მოსაგვარებლად

კომისიის წევრი: სიმონ ჭოლოკავამ განაცხადა, რომ მრავალშვილიანებისათვის და გაჭირვებულებისათვის ეს პროგრამა რომლითაც მოხერხდა ამ ოჯახებისათვის პირუტყვის შეძენა მართლაც მნიშვნელოვანია

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯამრთელობის დაცვის სამსახურის ინფორმაცია: „ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2020-2024 წლების სოციალური პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ", ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის განკარგულების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე. მიიღო ცნობის სახით და საკითხი გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი2. კომისიის თავმჯდომარემ ირინა ტყეშელაშვილმა წარმოადგინა საკითხი: არასამეწარმო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ბაღდათის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"-ს ხელმძღვანელის ინფორმაცია კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და ვაქცინაციის მიზნით მოსამზადებელი სამუშაოებისა და გატარებული ღონისძიებების შესახებ აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა ა.(ა).ი.პ ბაღდათის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრის დირექტორი ნატო მაჩიტაძემ

ა.(ა).ი.პ ბაღდათის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრის დირექტორი ნატო მაჩიტაძემ განაცხადა, რომ არის ძალიან რთული ეპიდმდგომარეობა არის მომატებული შემთხვევები კორონავირუსით დაინფიცირების და ძალიან რთულია კლასტერების და იზოლაციაში მყოფი ხალხის მოძიება

კომისიის თავმჯდომარე: ირინა ტყეშელაშვილმა განაცხადა, რომ ხომ არ აჯობებს რომ მოვაწყოთ ხალხთან შეხვედრა აცრის დანიშნულებისა და მისი ჩატარების აუცილებლობისათვის მივაწოდოთ კიდევ საჭირო ინფორმაცია ამით აცრების პროცესი იქნებ გაუმჯობესდეს

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ

არასამეწარმო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ბაღდათის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს ხელმძღვანელის ინფორმაცია კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და ვაქცინაციის მიზნით მოსამზადებელი სამუშაოებისა და გატარებული ღონისძიებების შესახებ მიიღო ცნობის სახით

სხდომის დღის წესრიგით მიხედვით საკითხები ამოიწურა
სხდომა დახურულად გამოცხადდა

კომისიის თავმჯდომარე: ირინა ტყეშელაშვილი